

**ბასკებისა და ესპანელების მხარდამხარ  
მებრძოლი ქართველი ინტერნაციონალისტები  
ესპანეთის სამოქალაქო ომში**  
**GEORGIAN INTERNATIONALISTS FIGHTING ALONG  
WITH BASQUES AND SPANISH PEOPLE  
IN THE SPANISH CIVIL WAR**

**გრეტა ჩანტლაძე-ბაკრაძე**  
თბილისი, საქართველო

**Greta Chantladze-Bakradze**  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

The International Brigades were actively engaged in the Spanish Civil War (1936-1939) to defend the Spanish second republic. They have inspired many famous chapters in the heroic history of battles of the Spanish people against Fascism. Especially noteworthy are the Garibaldi Battalion (Garibaldi Brigade), the Thälmann Battalion of the International Brigades, and the Henri Barbusse Battalion who demonstrated greatest examples of international solidarity with the Spanish people. It is generally recognized that until the very end, the International Brigades fought along with the Spanish Republican Army against Fascism.

The article explores newly-identified materials about Georgian volunteers who fought along with Spanish Republicans and Basques in the Spanish Civil War. The author has obtained the above-mentioned materials in museums of military glory and archives in Spain, Moscow, Baku and Tbilisi. The article presents information about five Georgian fighters (they are S. S. Ramishvili, A. I. Katamadze, D. Lomadze, D. Tsotsolashvili and I. Rukhadze). It is believed that among other internationalists, up to 30 Georgian men were engaged in battles in Spain. Unfortunately, no information is available on other fighters. The research continues...

**საკვანძო სიტყვები:** ესპანეთის სამოქალაქო ომი, ინტერნაციონალური ბრიგადები, ანტიფაშისტური ბრიგადები, ქართველი ინტერნაციონალისტები.

**Keywords:** Spanish Civil War, International Brigades, Anti-Fascist Brigades, Georgian internationalists.

დიდი ხანია გამიჩნდა ინტერესი პირენეის ნახევარკუნძულის ქვეყნების ენის, ისტორიისა და კულტურის მიმართ. პირველ რიგში შევისწავლე ბასკების ენა, საკვალიფიკაციოდ მოვამზადე ნაშრომი, ხოლო შემდგომ დავინტერესდი ესპანეთის სამოქალაქო ომით, რომელიც წარმოებდა 1936-39 წლებში.

1989 წელს მოსკოვში ჩატარდა პირენის ნახევარკუნძულისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ენის, ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სიმპოზიუმი, რომელიც მიემდგვნა ესპანეთის რევოლუციას და ამ რევოლუციაში მონაწილე ინტერბრიგადების წევრებს. ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკიდან იყო წარმოდგენილი მოხსენებები, სადაც გაანალიზებული იყო ამა თუ იმ ქვეყნის მოხალისეების საბრძოლო დიდებების გზები ესპანეთში. მეხელთ მქონდამხოლოდ ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილის სიმონ სპირიდონის ძე რამიშვილის შესახებ ზედაპირული ინფორმაცია. კამათში გამოსვლისას შევპირდი აუდიტორიას, რომ მოვიძიებდი მასალას ქართველი მოხალისეების შესახებ, მით უფრო რომ ზეპირი ცნობები მათ შესახებ გამაჩნდა. დავიწყე ინტენსიური მუშაობა, გავეცანი ვეტერანთა საბჭოს ესპანეთის ჯგუფს, რომლის სწავლულმა მდივანმა, ესპანეთის ბრძოლების მონაწილემ ქ-მა ვ. ალექსანდროვსკაიამ მომცა საშუალება გავცნობოდი ესპანეთში მონაწილეთა დოკუმენტაციას და საინტერესო მასალაც მოვიძიე; მოსკოვში ვიყავი ინტერბრიგადებში მონაწილეთა ოჯახებში, ვესაუბრე ოჯახის წევრებს. საქართველოში ვიმუშავე თითქმის ყველა არქივში, რომლებზედაც ხელი მიმიწვდებოდა. შევისწავლე ს. რამიშვილის, ი. ა. ქათამაძის, ლომაძის, დ. წოწოლაშვილის, ი. რუხაძისა და სხვების პირადი ფრონტული წერილები და დოკუმენტაცია, რაც კი გადაურჩა ჟამთასვლას. მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, თავის დროზე იყო შეცდომებიც დაშვებული ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეთა მიმართ, რაც მოგვიანებით გამოსწორდა, ამის გამო ბევრმა დოკუმენტმა ჩვენამდე ან ვერ მოაღწია, ან თვალს მიეფარა...

მოვიძიე რამდენიმე არაქართველი მონაწილის ესპანური ბრძოლების ამსახველი სხვადასხვა მასალა. ძიება გრძელდება. ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და ყოველ მონაწილეს მიუზღვება, ვითარცა „კეისარს კეისრისა“... სამწუხაროდ, დღემდე უცნობი იყო ორი ქართველი მოხალისის - ილია ალექსანდრეს ძე ქათამაძისა და დანიელ წოწოლაშვილის საბრძოლო ეპიზოდები ესპანეთში. უსამართლოდ იყო მივიწყებული დანიელ წოწოლაშვილიც, რომელიც უცხოეთში ცხოვრობდა წლების განმავლობაში და ესპანეთის სამოქალაქო ომში ასეულის მეთაურად იქნა გაწვეული. მის შესახებ „ახალგაზრდა კომუნისტში“ წერდა პროფ. ილია ტაბაღუა (1938: 4).

ინტერესი ქართველი მოხალისეების მიმართ გაგვიორკვედა მაშინ, როცა 1989 წელს ესპანეთში, ბარსელონაში, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე შევხვდი ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე რესპუბლიკელებს, რომელთაც ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენეს იმ მებრძოლების ცხოვრებიდან, რომლებიც თურმე ქართველები ყოფილან. ეს გარკვეულა კარგა დიდი ხნის შემდეგ.

ამ საკითხის შესწავლის ისტორია ასეთია, მონოგრაფიულად მსგავსი არაფერი არ შესწავლილა. არის რამდენიმე სოლიდური ნაშრომი ესპანეთის სამოქალაქო ომში რუსი მონაწილეების შესახებ, მაგრამ მათ შორის ქართველი, გარდა ს. რამიშვილისა, როგორც აღვნიშნეთ, არსად

შემხვედრია. მივაკვლიე 1936-1939 წლების ქართულ პრესაში რამდენიმე ინფორმაციას ესპანეთის ფრონტებზე მიმდინარე საბრძოლო ეპიზოდების შესახებ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ აწარდაცვლილ მეცნიერებს: ისტ. მეცნ. დოქტორს შ. მეგრელიძეს, ისტ. მეცნ. დოქტორს ფრიდონ სიხარულიძეს, უფროს მეცნ. მუშაკს ტრისტან ჩინჩილიკაშვილს და არქივის ყველა მუშაკს, ვინც დახმარება გამიწია.

ფართო და მრავალფეროვანია ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ურთიერთობა. გეოგრაფიულად ამ ორ დიდ სახელმწიფოს თითქმის არა აქვთ არავითარი საზღვრები, ამის გამო ტერიტორიული პრეტენზიებიც არ ჰქონიათ ერთმანეთთან. მიუხედავად ამისა, ესპანურ-საბჭოური კავშირ-ურთიერთობანი ძალზე მწიფად და ეკალ-ბარდებით მოფენილი გზით წარიმართა, სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით.

ცოტა რამ ისტორიიდან: ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდგომ ესპანეთის საელჩოდან დარჩა წარმომადგენელი რევოლუციურ პეტროგრაფში 1918 წლამდე. ნოემბრის ბოლოს ესპანეთის მთავრობამ გადაწყვიტა გამოეთხოვა საბჭოთა რუსეთიდან ესპანეთის საელჩო. დიპლომატიური ურთიერთობა ესპანეთთან აღდგა მხოლოდ 1933 წლის 28 ივლისიდან. 1933 წლის 18 აგვისტოს ესპანეთის მთავრობამ მისცა უფლება ა. ვ. ლუნაჩარსკის ჩასულიყო ესპანეთში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლად, მაგრამ ავადმყოფობის გამო მან ვერ შეძლო ამ მისიის შესრულება. შესაბამისად, ესპანეთის ელჩიც არ ჩამოსულა საბჭოთა კავშირში.

ოფიციალურად პირველი უფლებამოსილი საბჭოთა წარმომადგენელი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას ესპანეთში 1936 წლის 31 აგვისტოს, როცა ესპანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი, ხოლო ესპანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა 1936 წლის 10 ოქტომბერს. სამოქალაქო ომის გამო საბჭოთა კავშირის საელჩო დროებით იმყოფებოდა ხან ვალენსიაში, ხან ბარსელონაში, ხოლო როცა რესპუბლიკელები დამარცხდნენ, 1939 წლის მარტში შეწყდა ესპანეთ-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობანი და წლების განმავლობაში ამ ორ სახელმწიფოს შორის არ იყო არავითარი კავშირი.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა პირველი ნიშანწყალი ესპანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა. 1976 წლის თებერვალში მოლაპარაკება წარმოებდა საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრსა და ესპანეთის საზღვაო-სავაჭრო ფლოტის მინისტრს შორის, რაც დადებითად დამთავრდა. გადაწყდა, რომ სახელმწიფოებმა უფლება უნდა მისცენ ერთმანეთს საზღვაო გზების გამოყენებისა, შესაბამისად, მადრიდში გაიხსნა შავი ზღვის სანაოსნოს წარმომადგენლობა, ხოლო მოსკოვში ხმელთაშუა ზღვის სანაოსნოს წარმომადგენლობა. 1976 წელს მოლაპარაკება დაიწყო და დადებითად გადაწყდა საჰაერო მიმოსვლის საკითხიც. დაუშვეს სამარშრუტო რეისი მადრიდი-მოსკოვი. ასე რომ, რამდენჯერმე მოისინჯა დიპლომატიური

ურთიერთობის დამყარება ესპანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც დაგვირგვინდა დიპლომატიური ურთიერთობის გაფორმებით 1977 წლის 9 თებერვალს, რაღა თქმა უნდა, გენერალ ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ (იგი გარდაიცვალა 1975 წელს).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოსკოვში დიპლომატიური ურთიერთობის გაფორმებისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო. უნივერსიტეტში ცნობილი რუსი ბასკოლოგი პროფ. იური ზიცარი მიიწვიეს ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის ესპანურისა და ბასკური ენის კურსის წასაკითხად. აგრეთვე, შემოიღეს ახალი საგანი „ბასკურ-ქართველური კომპარატივისტიკა“; აღინიშნა ისიც, რომ ამ საგანს კითხულობდა ამ სტატიის ავტორი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბდა ბასკურ-ქართული თანამეგობრობის საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ აკად. შოთა ძიძიგური და პროფ. ილია ტაბაღუა.

არ იქნება ურიგო მკითხველი გაეცნოს ესპანურ-ქართულ ურთიერთმიმართებებს დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში.

ესპანეთში მცხოვრები ხალხები ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველად მოიხსენებიან ბიზანტიელი ფილოსოფოსის, ბასილი კესარიელის თხზულების ქართულ თარგმანში „ექუსთა დღეთა“ (326-379 წწ.). აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „ცხოვრება იოანესი და ეფთუიმესი“ (XI ს.), სადაც წამოყენებულია ესპანეთში ექსპედიციის მოწყობის იდეა „დასავლეთის ქართველების მოსახილველად“.

XI საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით ქართულ ისტორიულ წყაროებში ესპანურ-ქართულ ურთიერთობებზე არაფერია ნათქვამი. შესაძლებელია გარკვეული ურთიერთობანი კი იყო ამ ორ ქრისტიან ქვეყანას შორის, მაგრამ ჟამთასვლის ქარტეხილებმა გაანადგურა ჟამთაღმწერლების ქრონიკები და ჩვენამდე ვერ მოაღწია. თუმცაღა ცნობილია, რომ XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართველ მეფეთა თვალი მიპყრობილი იყო ევროპისკენ, ისინი დახმარებას ელოდნენ მეზობელი მუსულმანური ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად. კახეთის მეფე კონსტანტინემ თავისი ელჩი გააგზავნა ესპანეთში დედოფალ იზაბელთან წერილითა და დიდძალი საჩუქრებით. იგი ულოცავდა დედოფალს პირენეის ნახევარკუნძულიდან მუსულმანი ტომების განდევნას და სთავაზობდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ გეგმას. ქართველმა ელჩმა ეს მოკითხვა ჩაუტანა დედოფალს 1496 წელს, ხოლო შემდგომ ამისა მოიხილა რომიც. ანალოგიურად მოიქცა ესპანეთთან ურთიერთობისათვის ქართველთა მეფე სიმონ I, რომელმაც 1622 წელს ესპანეთის მეფე ფილიპ II-ს მისწერა წერილი, რათა კონტაქტი დაემყარებინა ესპანეთთან და მისი საშუალებით დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთანაც. თეიმურაზ პირველმა კი ესპანეთში გაამგზავრა თავისი ელჩი – ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი). რა თქმა უნდა, ქართველ მეფეთა ყველა ეს ცდა განწირული იყო, რადგანაც ევროპის ქვეყნებს სული ძლივს ედგათ „ჯვაროსნული ომებისაგან“ სისხლგამოწრეტილთ. ამავე დროს ქართველთა დაუძინებელი მტრების - მუსულმანური სახელმწიფოების ძლიერებისაც ეშინოდათ.

თავის მხრივ ესპანურ ისტორიოგრაფიაშიც შეხვდებით ცნობებს საქართველოსა და ქართველების შესახებ. კერძოდ, აქ შეგვიძლია აღვნიშნოთ კასტილიის მეფე ენრიკე III-ის ელჩის, რუის გონსალეს დე კლავიხოს ნაშრომი „დიდი თემურ ლენგის ცხოვრება და თავდადება“. კლავიხო წარმოგზავნილი იყო კაიროში, სადაც მან დაჰყო სამი წელი. როდესაც უკან ბრუნდებოდა, ჩამოიარა საქართველოში. ეს იყო 1403 წელს. მას თავის წიგნში რამდენიმე გვერდი აქვს მიძღვნილი საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის სახელმწიფო მოღვაწის - ესპანელი გენერლის დონ-ხუან ვან გალენის (1790-1864) მემუარებში, რომელიც მან გამოაქვეყნა ესპანეთში დაბრუნების შემდეგ, ბევრ სასიამოვნო გამონათქვამს ვხვდებით საქართველოს შესახებ. მემუარების მეორე ტომში მსჯელობაა რუსეთსა და კავკასიაზე. დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმერეთის 1820 წლის აჯანყებას ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ. 1877 წელს საქართველოში ჩამოვიდა ესპანელი მწერალი ქალი და მოგზაური კარლა სერენა. რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ იყო იგი ჩვენს ქვეყანაში. გაზეთმა „დროებამ“ თავის ფურცლებზე გააშუქა ესპანელი ქალის ვიზიტი საქართველოში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი, მათ შორის „ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე“ და „კავკასია“. დასავლეთევროპელი მსმენელების წინაშე გამოდიოდა ლექციებით, თვალსაჩინო მასალით აფხაზეთის, ქართლისა და კახეთის შესახებ. ქართველი მკითხველი უკვე XIX საუკუნეში ეცნობა ესპანურ კლასიკურ ლიტერატურას. ნ. ავალიშვილმა ოციან წლებში თარგმნა „დონ კიხოტი“. 1906 წელს რომანი მცირე შემოკლებით გამოვიდა ქუთაისში. 1960 წელს გამოიცა ქართულად „ესპანური ნოველა“ (მთარგმნელი ბ. მირცხულავა). 1941 წელს გამოიცა ცნობილი ესპანელი მწერლის – სერვანტესის ბიოგრაფია („ცხოვრება სერვანტესისა“) და მრავალი სხვა.

საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა, რომელიც არაერთგზის ითარგმნა. გალაკტიონმა კი მას მიუძღვნა ლექსი. ლორკას პიესები ხშირად იდგმება ქართული თეატრების სცენებზე.

ლოპე დე ვეგას „ფუნტე ობეხუნა“ („ცხვრის წყარო“) პირველად კოტე მარჯანიშვილმა დადგა ქართულ სცენაზე 1926 წელს. ქართული თეატრების რეპერტუარებში ხშირად იყო წარმოდგენილი ესპანელი ავტორების პიესები.

საკუთრივ ქართულიდან ესპანურად ითარგმნა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები 1930 წელს, ხოლო 1945 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის მასწავლებელმა ხოსე ანტონიო დიკომ პოეტურად თარგმნა რუსთაველის უკვდავი პოემა, რომლის ნაწყვეტები გამოქვეყნდა ჟურნალში „ინოსტრანნაია ლიტერატურა“. პირველი სრულყოფილი თარგმანი ეკუთვნის ჩილელ მწერალს გუსტავო დე ლა ტორე ბოტაროს.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენში ესპანური სიმღერა. ქართველი მსმენელი სიამოვნებით უსმენდა მიჩელსა და ანტონიო მორენოს.

1920-იან წლებში ესპანელი ხალხი ტკბებოდა სანდრო ინაშვილის მომხიბვლელი ხმით, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა ოპერა „კარმენში“ ესკამილიოს პარტია.

1960-70-იან წლებში საქართველოს დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით ესპანელ ხალხს აცნობდა ქართული ცეკვის ხელოვნებას. ქართული მუსიკალურ-ფოლკლორული ანსამბლები – „გორდა“, „გურია“, „ცისფერი ტრიო“- ხიბლავდა ესპანელ მსმენელებს თავიანთი ხელოვნებით.

1984 წლის 3 ივნისიდან 18 ივნისამდე ესპანეთში ტარდებოდა ქართული კულტურის დღეები. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა გიორგი ასათიანმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ბასკთა ქვეყანაში“, ხოლო ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ დაამთავრა მუშაობა 9-სერიან ფილმზე „დონ კიხოტი“, რომელიც საქართველო-ესპანეთის ერთობლივი ნაწარმოებია.

ესპანეთსა და საქართველოს შორის მეცნიერული ურთიერთობანი დამყარდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. ცნობილი ქართველი მეცნიერი ნ. მახვილაძე მიავლინეს ესპანეთში ტროპიკულ სნეულებათა შესასწავლად.

1977 წელს ესპანეთში იმყოფებოდა სპეციალურ ვიზიტად აკად. შ. ძიძიგური და პროფ. ი. ტაბაღუა, რომლებმაც დაამყარეს მჭიდრო კონტაქტები ქართველ და ესპანელ მეცნიერთა შორის. შემდგომ ესპანეთში, გერნიკაში ბასკეთის უძველეს დედაქალაქში გაიმართა ბასკოლოგთა პირველი მსოფლიო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი აკად. შ. ძიძიგური, პროფესორები: ილია ტაბაღუა, იური ზიცარი, ახალგაზრდა მეცნიერები ნათელა სტურუა და სალომე გაბუნია. მიწვეული იყო აგრეთვე ამ სიტყვების ავტორიც, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა. კონგრესის მასალები ცალკე წიგნად გამოვიდა ბილბაოში. კონგრესის ძირითადი პრობლემა იყო ბასკურ-ქართული ურთიერთობის საკითხები თანამედროვე ეტაპზე. ქართველ მეცნიერთა მოხსენებები დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

1978-80 წლებში ბასკეთის ნამდვილი წევრი შაბიერ კინტანა ორჯერ იყო აკადემიის სპეციალური მოწვევით საქართველოში, სადაც მან შეისწავლა ქართული ენა და ბასკურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის შესავალი ნაწილი გამოქვეყნდა პარიზში გამომავალ ჟურნალში „ბედი ქართლისა“. თარგმანმა სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. შ. კინტანა ლექციებითა და მოხსენებებით გამოდიოდა ქართული აუდიტორიის წინაშე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი ესპანურ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიების ციკლს: „საქართველო ბასკების თვალთ“. ცნობილი ქართველი მეცნიერის შ. ძიძიგურის წიგნი „ბასკები და ქართველები“ ითარგმა რუსულად, ესპანურად და ფრანგულად. მის შესახებ ესპანელმა მეცნიერმა უნდთანომ დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა ესპანურ პრესაში.

ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბასკურ-კავკასიური კვლევის ცენტრი,

რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ბასკოლოგი იური ზიცარი და პროფ. შოთა ძიმიგური. მათი ხელმძღვანელობით საქართველოში მომზადდა ექვსი საკანდიდატო დისერტაცია. მათი მოწაფეების ნაშრომები იბეჭდება ესპანეთში სამეფო აკადემიის ორგანოებში.

ესპანელი მსმენელებისათვის კარგად არის ცნობილი ზურაბ სოტკილაგასა და მაია თომადის სახელები. არც ქართული სპორტია უცნობი მათთვის. ბილბაოს გმირია ლევან თედიაშვილი, ხოლო სან-სებასტიანისა – ომარ ფხაკაძე. მართალია, ესპანეთში მძიმე ტრამვა მიაყენეს ცნობილ ფეხბურთელს დავით ყიფიანს, მაგრამ ქართველი ფეხბურთელების მიმართ ესპანელებს დიდი სიმპატიები ჰქონდათ წარსულშიც და ახლაც აქვთ. ქართველი გულშემატკივრებისათვის დაუვიწყარი იყო ბასკი ფეხბურთელების ჩამოსვლა თბილისში 1937 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა წააგეს ეს თამაში, იგი არასოდეს დაავიწყდებათ ფეხბურთის გულშემატკივრებს. შეუდარებლები იყვნენ ბასკი ფეხბურთელები: ლანგარა, ლარინაგა, რივერა და სხვები.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში თბილისს ეწვივნენ ესპანეთის კომუნისტური პარტიის ლიდერები დოლორეს იბარური და ხოსე დიასი. ეს უკანასკნელი დაკრძალულია თბილისში. გარდაიცვალა 1942 წელს.

1978 წელს ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა ესპანეთის სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ხუან ანტონიო სამარანჩა. იგი იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავჯდომარე, ხოლო 1984 წელს თბილისში ჩამოვიდა ესპანეთის კორტესების („პარლამენტის“) დეპუტატთა დელეგაცია მ. მარტინესის ხელმძღვანელობით. იმავე წელს საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ესპანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია. მისი გენერალური მდივნის იგნასიო გალიეგოს მეთაურობით.

1987 წლის მაისში ესპანეთში, კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში, გაიმართა მსოფლიო ბაზრობა-გამოფენა, სადაც მონაწილეობას იღებდა 54 ქვეყანა. ყველაზე დიდი ფართობი ეკავა საბჭოთა კავშირს. აქ ცალკე იყო წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის მიღწევები. გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნის მიხედვით ირკვევა, რომ ძალზე დიდი მოწონება ხვდათ ქართველების მიერ წარმოდგენილ ექსპონატებს, მოდელების სახლის მიერ წარმოდგენილ მოდელებს და ანსამბლ „ივერიის“ გამოსვლას. გამოფენაზე მოწვეული იყო სხვადასხვა სახის აპარატურის მეცნიერი ავტორები და ამ სიტყვების ავტორიც, რომელმაც შეადგინა საქართველოს ბუკლეტი „Georgia“ ესპანურ ენაზე. დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ პროფ. გივი მინდელი და პროფ. თამაზ შილაკაძე.

ასეთია მოკლედ ესპანურ-ქართული ურთიერთობანი წარსულსა და თანამედროვე ეტაპზე.

რაც შეეხება ესპანეთის სამოქალაქო ომს, პრემბულის სახით წარმოვადგენთ ინფორმაციას ესპანეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის შესახებ:

ესპანელმა მუშებმა და გლეხებმა 1931 წელს დაამხეს მეფე ალფონსოს მონარქია, შეიქმნა ბურჟუაზიული რესპუბლიკა, რომელმაც 1936 წლის

16 თებერვლამდე იარსება. ამ დღეს მოხდა გადატრიალება. ფართო მასებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სახალხო ფრონტს, გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ დროისათვის ესპანეთი იყო აგრარული, ნახევრად ფეოდალური ქვეყანა. მისი მოსახლეობა შეადგენდა 24 მილიონ მცხოვრებს. ამას ემატებოდა 2 მილიონი მაროკოს მოსახლეობა, რომელიც ესპანეთის კოლონია იყო. 1936 წლამდე ესპანეთის არმია 125 ათასი მეომრისაგან შედგებოდა. ამ მცირერიცხოვან არმიას 850 გენერალი ჰყავდა. სწორედ ამ მოღალატე გენერლებმა მოახდინეს ამბოხება რესპუბლიკის წინააღმდეგ 1936 წლის 18 ივლისს ფრანკოს მეთაურობით. სამი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ხალხების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული ესპანეთი. გერმანიისა და იტალიის ფაშისტების დახმარებით მათ იერიში მიიტანეს მადრიდზე. დედაქალაქის 40 ათასმა მუშამ, მათ შორის 10 ათასმა ქალმა და ახალგაზრდამ აისხა იარაღი თავისუფლების დასაცავად, ახალგაზრდა რესპუბლიკის გადასარჩენად. ესპანეთის რევოლუციაში ბევრი გმირის სახელი შევიდა. თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე შეიძლება დაიწეროს გამოკვლევა. მათ შორის განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ესპანეთის რევოლუციის ლიდერებს - დოლორეს იბარურსა და ხოსე დიასს. აქვე წარმოვადგენთ მათი ცხოვრების ზოგიერთ მომენტს:

დოლორეს იბარური (პასიონარია) ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარე, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, დაიბადა 1895 წელს მემადაროელის, ბასკი მამისა და ესპანელი დედის, ოჯახში. მან ბავშვობა გაატარა მუშათა წრეში. მის ბინაში ყოველდღე იკრიბებოდნენ და ესპანელ ხალხთან ერთად იბრძოდნენ მისი საუკეთესო მეგობრები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ანტიფაშისტები. მოდიოდნენ ისინი საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირიდან. გერმანელ და იტალიელ ანტიფაშისტ მუშებს, რომლებმაც საკუთარ ზურგზე განიცადეს ფაშისტური ჩაგვრის სიმწარე, კარგად ესმოდათ, ფაშიზმს რა მოჰქონდა ესპანეთში და მთელ ევროპაში – შიმშილი, გაჭირვება, ტერორი და სულიერი სიღატაკე. აი, რატომ აიღეს მათ იარაღი ხელში და შეუერთდნენ ესპანელ რესპუბლიკელებს. მათი განწყობა ასე გამოხატა ერთმა ანტიფაშისტმა, რომელმაც სიტყვით მიმართა მადრიდის რადიოს მეშვეობით ფრანკოს დასახმარებლად ფაშიზმის მიერ მოტყუებით წამოყვანილ გერმანელ ჯარისკაცებს: „რადგანაც მე არ მიწოდდა გამოცემა ესპანელ ხალხს ის საშინელება და დამცირება, რასაც იტანდა გერმანელი ხალხი, ამიტომ გამოვეშურე აქეთ ესპანეთისაკენ, რათა დავხმარებოდი გმირ ესპანელ ხალხს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ყველა უნდა მოიქცეს ისე, როგორც მე და ჩემი ამხანაგები ვიქცევით. ანტიფაშისტურმა ინტერნაციონალურმა ბრიგადებმა ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანელი ხალხების ბრძოლების გმირულ ისტორიაში. ტელმანის, გარიბალდის და ბარბიუსის სახელობის ბატალიონებმა გვაჩვენეს საუკეთესო მაგალითები ინტერნაციონალური სოლიდარობისა ესპანელი ხალხის მიმართ.“



საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1936 წლის ნოემბრის ყველაზე კრიტიკულ დღეებში ინტერნაციონალურმა ბრიგადებმა აღმოუჩინეს უდიდესი დახმარება ესპანეთის სახალხო არმიას და მათთან ერთად შეინარჩუნეს მადრიდი. ინტერნაციონალური ბრიგადებიდან ცოტამ როდი დადო თავი ესპანეთის ფრონტზე მათი სახელები სამუდამოდ იცოცხლებს მშვიდობისმოყვარე ესპანელების გულში“.

სამოქალაქო ომის პერიოდში ძალზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ესპანეთში. იმის იმედით, რომ იქნებ ბავშვები მაინც გადარჩენილიყვნენ, მშობლებმა გადაწყვიტეს თავიანთი შვილები გაეხიზნათ საბჭოთა კავშირში. 1937 წლის ზაფხულში ასტურიის პორტ ხიხონში შეაგროვეს ათასი 10-12 წლის გოგო-ბიჭები და ჩაიყვანეს საფრანგეთში, კერძოდ მარსელის პორტში, სადაც მათ ელოდათ გემები: „ფელიქს ძერჟინსკი“ და „კოპერატორი“. ერთ-ერთი მათგანის ეკიპაჟის წევრი იყო შორეული ნაოსნობის სახელგანთქმული კაპიტანი ვახტანგ ბარათაშვილი. ესპანელ ბავშვებს გულთბილი მიღება მოუწყეს საქართველოში. ამ დროს არცთუ კეთილგანწყობილი პოლიტიკური კლიმატი იყო საქართველოში. ესპანელი ბავშვებისათვის მაინც მოიძებნა თავშესაფარი. ისინი გადანაწილდნენ ბავშვთა სახლებში. ბავშვებმა გააგრძელეს საშუალო სკოლებში სწავლა, ზოგიერთ მათგანს უნდოდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, მაგრამ მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. ლუის ფერნანდესი, დარიოს სუარესი, კარმენ კასტრო, კარმენ ლოპესი, მანუელ მარტინესი, მარტინა მინტეგი, ფრანჩესკა დომინგინი და მრავალი სხვა ისტორიას შერჩნენ როგორც „1937 წლის ბავშვები“. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბავშვთა სახლებში სწავლობდა და ცხოვრობდა 500 უდედმამო ესპანელი (მათ შორის საქართველოში 300-ზე მეტი ბავშვი). ლუის ფერნანდესის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ ისინი 1941-დან 1942 წლამდე იყვნენ ლენინგრადის ბლოკადაში. როდესაც გაიხსნა სიცოცხლის გზა, საბავშვო სახლის დირექტორმა საქართველოსკენ წამოიყვანა ესპანელი ბავშვები. ისინი ჩამოვიდნენ კრასნოდარში მატარებლით. შემდეგ მდინარე ფსოუს ნაპირ-ნაპირ გამოუყვნენ ფეხით და ჩამოაღწიეს სოხუმამდე. საბავშვო სახლის დირექტორმა არკადი პოლგიევმა ერთი მილიონი მანეთი გაახვია ნაჭერში და შემოაკრა წელზე პატარა ლუის ფერნანდელს. ბავშვებს უკვირდათ, რომ დირექტორი არც ერთი წუთით არ იშორებდა მას გვერდიდან. ბოლოს გამოირკვა, რომ ის ყოფილა „ცოცხალი სალარო“. ასე მიაღწიეს ლენინგრადიდან თბილისამდე. ლუის ფერნანდესი და დარიოს სუარესი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ კულტურის სახლს თბილისში. დარიოს ჰყავდა რუსი მეუღლე, ლუისს კი – ქართველი. დარიოსი გარდაიცვალა 1988 წელს. სამწუხაროდ, ის ვერ მოესწრო „1937 წლის ბავშვების“ 50-წლის იუბილეს, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1985 წელს. „1937 წლის ესპანელი ბავშვები“ მადლიერების გრძნობით გამსჭვალულნი იხსენებენ საქართველოში გატარებულ დღეებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ესპანეთში, ბარსელონაში გამოფენაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის პავილიონში ჩემთან მოვიდნენ ფეიქარი-ინჟინერი მარინო ალდასი და მისი მეუღლე ეუკარიო ლოპესი, რომლებიც

ცრემლმორეულნი ყვებოდნენ საქართველოში გატარებული ბავშვობის წლების შესახებ. ისინი ამბობდნენ, რომ ტრიკოტაჟის კომბინატში პირველად ვეზიარეთ საფეიქრო საქმესო, რაც ძალიან გამოგვადგა ესპანეთშიო. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა მამაჩემი მთავარი ენერგეტიკოსი – ივანე ჩანტლაძე, რომელსაც პატარა ესპანელები ხშირად მოჰყავდა ჩვენთან სტუმრად. მე მაშინ ჯერ არ ვიყავი დაბადებული. მამაჩემს 1937 წელს ფეხბურთის მატჩიც უნახავს თბილისში, ბასკებმა მოიგეს 2:1.

ასეთი ვრცელი პრეამბულის შემდგომ გადავიდეთ იმ ქართველი მოხალისე მებრძოლების წარმოდგენაზე, რომლებიც იბრძოდნენ ესპანელებისა და ბასკების მხარდამხარ ინტერბრიგადებში.

კონტრადმირალი – სიმონ სპირიდონის ძე რამიშვილი 17 წლისა იყო, როდესაც ბათუმის საზღვაო სასწავლებელში კურსსაღტად ჩაირიცხა. შემდგომ მან სწავლა გააგრძელა ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში. სწორედ ამ დროს, 1936 წელს, იგი მოხალისედ მიდის ესპანეთში ლოპეს გარსიას გვარით. რამიშვილი ესპანეთში მესამე რანგის კაპიტნის წოდებით წავიდა. არაერთხელ აგემა მან ფაშისტებს გამანადგურებელი დარტყმები. სიმონ რამიშვილის სახელი დღესაც კარგად ახსოვთ ესპანელ რესპუბლიკელებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ესპანური გვარით იბრძოდა, ბოლოს მაინც გაირკვა, რომ ის ქართველი მებრძოლი სიმონ სპირიდონის ძე რამიშვილი იყო. 1936-1937 წლებში სიმონ რამიშვილი დაჯილდოვდა წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით. 1937 წელს ის დაინიშნა ბალტიის ფლოტის შტაბის უფროსის მოადგილედ და მიენიჭა მეორე რანგის კაპიტნის წოდება. სარდლობისა და საბრძოლო დავალებათა წარმატებებით შესრულებისათვის სიმონ რამიშვილი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით და მას პირველი რანგის კაპიტნის წოდება მიენიჭა, ხოლო 1941 წლის 6 მაისს სიმონ სპირიდონის ძე რამიშვილს მიენიჭა კონტრადმირალის წოდება. ომის დაწყებიდან ბოლომდე საბრძოლო დიდებით გაიარა ფრონტული გზა სახელმთხვეჭილმა კონტრადმირალმა. 1945 წლიდან ს. ს. რამიშვილი მუშაობს ამერიკაში, კერძოდ ვაშინგტონში „ლენდლიზის“ რწმუნებულად. ვაშინგტონში მან იმუშვა 1949 წლამდე. 1950 წელს იგი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და დაინიშნა ლენინგრადის კიროვის სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის უფროსად, 1958 წლიდან კი ბაქოს სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის უფროსად, სადაც მან დაჰყო 13 წელი.

ს. ს. რამიშვილი პენსიაზე გავიდა 1970 წელს, ხოლო 1973 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე.

ალექსანდრე ილიას ძე ქათამაძე იყო რიონჰესის ერთ-ერთი პირველი მშენებელი. 1926 წლიდან იგი მუშაობდა ზეინკლად, ტრაქტორისტად, გვირაბგამყვანად და დამხმარე მუშად. შემდეგ წავიდა ლენინგრადის სამხედრო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

1937 წლის ნოემბერში იგი მოულოდნელად გამოიძახეს მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტში, ჩააცვეს სამოქალაქო ფორმა, დაატოვებინეს ყველა დოკუმენტი, პარტიის ბილეთი და რვაკაციანი ჯგუფით გაამგზავრეს

სევასტოპოლში. არავინ არ იცოდა, თუ საით მიდიოდნენ, მანამ, სანამ ისინი არ ჩასვეს გემ „ჩიჩერინში“ და არ გაამგზავრეს დარდანელის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში. აქ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და გემი „ჩიჩერინი“ ძლივს გადაურჩა ზღვაში ჩაძირვას. სწორედ აქ უთხრეს მათ, რომ „თქვენ ასრულებთ ძალიან დიდ მისიას, უნდა დაეხმაროთ ესპანელ რესპუბლიკელებს და მოიხადოთ თქვენი ინტერნაციონალური ვალიო“. „ჩიჩერინი“ დადგა კარტახენაში, რომლის შემადგენლობას დაევალა სანაპიროს დაცვა 80 მილის სიგრძისა და 20 მილის სიგანის მანძილზე. ალმერია-ალიკანტეს საზღვარი იყო მათი დაზვერვის ზონა. კარტახენაში ხშირად იმართებოდა საჰაერო თავდასხმები. აქ გემზე შეხვდა ერთმანეთს ორი ქართველი თანამემამულე რამიშვილი და ქათამაძე. ისინი ცხოვრობდნენ ერთ ოთახში. სიმონი იყო საზღვაო ზონის დაცვის უფროსი, ხოლო ქათამაძე მისი მოადგილე. მრავალი საბრძოლო ეპიზოდი აკავშირებთ ერთმანეთთან ამ ორ ქართველს ესპანეთში. მშვიდობიან პერიოდში ქათამაძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა ოქროს მომპოვებელთა სამმართველოს უფროსად, ლუდის ქარხნის დირექტორად, ბოლოს კი - სოცურუნველყოფის სამინისტროში. ა. ი. ქათამაძე დაჯილდოვებულია პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, მიღებული აქვს წითელი ვარსკვლავის ორდენი და ორდენი საბრძოლო მამაცობისათვის. ა .ი. ქათამაძე გარდაიცვალა ხანდაზმულ ასაკში, დაკრძალულია თბილისში.

დავით ვლადიმერის ძე ლომაძე – დაიბადა თბილისში 1895 წელს. 1917 წლიდან, წლების განმავლობაში ჯერ სწავლობდა და შემდეგ მუშაობდა გერმანიაში. იგი იბრძოდა ჰამბურგის ბარიკადებზე ტელმანის გვერდით.

1936 წელს, როცა ესპანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი, დ. ლომაძე იყო საქართველოს პროკურორის თანაშემწე. როგორც მისი მეუღლე – ქალბატონი ეკატერინე სამორა-ლომადისა იგონებდა, 25 ნოემბერს დამით გამოიძახეს დ. ლომაძე და მხოლოდ მოსკოვში შეატყობინეს მას, რომ იგი ასრულებდა საგანგებო დავალებას. მას ესპანეთში იცნობდნენ ანტონიო მისტრალის სახელით. როგორც ალექსანდრე ქათამაძის მოგონებებიდან ვიცით, ძალიან ბევრ საინტერესო და სახიფათო ოპერაციებში მიუღია დ. ლომაძეს მონაწილეობა. სამწუხაროდ, ჩვენ დავით ლომაძეს შევხვდით გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, უკვე საკმაოდ მძიმე დაავადებულს. მისმა ქალიშვილმა, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ელისო ლომაძემ, მუზეუმის ფონდს გადასცა მამამისის ესპანური პერიოდის ამსახველი დოკუმენტები. ლომადის ჩანაწერებში აღმოვაჩინეთ ერთი საინტერესო მასალა. მადრიდში იგი შეხვედრია ბასკ პოეტს შაბიერ ლისარდის. იგი ფაშისტებს მხეცურად მოუკლავთ ცენტრალურ მოედანზე (მას გარსია ლორკას ბედი ერგო). როგორც ჩანს, ორ იბერიელს გული გადაუშლია ერთმანეთისათვის. ეს იქიდან ჩანს, რომ ლომადის პირად არქივში ვნახეთ შ. ლისარდის ბასკურ ენაზე დაწერილი ლექსი „ქალიშვილი ცისფერ ფერებში«. აქვე მოვიტანთ ბწყარედს (ჩვენეულ თარგმანს):

„გაზაფხულია, ყვავის მიდამო,  
 ტყეში მივდივარ და ფოთლებს ვითვლი,  
 უცებ გაიხსნა ცისკიდური და  
 გამოლივლივდა ქალიშვილი ცისფერ ფერებში.  
 ტანსაცმელი ხომ ცისფერი ჰქონდა,  
 თვალები ლაჟვარდისფერი ჰქონდა,  
 სევდიანი ლურჯ ტალღებზე ქროდა,  
 მოდის და მოაქვს მთელი სამყარო.  
 ჩემო თვალებო, ჩემო ცისფერო სიცოცხლე,  
 უფრო ლამაზი არ მინახავს მე სხვა თვალები  
 და ეს სხეული ჰაეროვანი, მაისის ნისლში გახვეული,  
 ჰგავს საოცრებას, დილის ნისლში წარმოჩინებულს.  
 სისხლში მას უჩქეფს მარწყვის წვიმის ნაკადულები,  
 თმებს შეეხები და დაინთება საამური კოცონი დილის,  
 გამოიღვიძა დილით გოგონამ,  
 ცისფერ ფერებში გამოწყობილმა,  
 დაბერა სიომ, მიეაღერსა, ვითარცა სატრფომ  
 და მისცა მისი სულის სითბო გაყინულ ტოტებს“...

დანიელ წოწოლაშვილი 1918 წლამდე ცხოვრობდა საქართველოში. შემდეგ წავიდა ესპანეთში. როცა ესპანელი ხალხი იარაღით ხელში იცავდა თავისუფლებას, დანიელ წოწოლაშვილი რესპუბლიკელთა ასეულის მეთაურად დაინიშნა. იგი იბრძოდა ხუნატანის სახელით. ისტორიის ფურცლებიდან არასოდეს არ ამოიშლება ის გმირული ბრძოლები, რომლებიც გაიმართა მადრიდში, კარტახენაში, ტოლედოში, ტახოში, გვადალახარაში, ბელტიჩესში, ლევანტესა და სხვა ფრონტებზე. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ლევანტეს ფრონტი დანიელ წოწოლაშვილს. ამ ფრონტზე მიმართული იყო მტრის ყველაზე დიდი ძალა, რათა კატალონიასთან გაწყვეტილი კავშირი აღდგენილიყო; 40 ტანკი, 15 ათასი ყუმბარა, 450 გამანადგურებელი იყო მიმართული მათკენ – იგონებს წოწოლაშვილი; იგი შვიდჯერ დაიჭრა. მან მიიღო რევოლუციური სარდლობის მადლობა. გაზეთებში - „მუნდო ობრერო“, „პოლიტიკა“ და „ბალას როხას“ („წითელი ტყვია“) ხშირად იბეჭდებოდა სტატიები დანიელ წოწოლაშვილის საბრძოლო ეპიზოდების შესახებ. იგი 1939 წელს დაბრუნდა საქართველოში. მან ფრონტზე დაკარგა თვალი. მიუხედავად ინვალიდობისა, - ამბობდა იგი, - „მე მინდა ჩემი დარჩენილი ცხოვრება საქართველოს კეთილდღეობას მოვახმარო“-ო. სამწუხაროდ, მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი.

არ შემიძლია ქართველ ინტერნაციონალისტების გვერდით არ მოვიხსენიო ცნობილი ქართველი მწერლის ბატონი გივი გოგიჩაიშვილის მეუღლის, წარმოშობით ბასკის – ქალბატონი მარტინა მინტეგი-ბილბაოს მამისა და ძმის სევდიანი ისტორია, რომლებიც ესპანეთის სამოქალაქო ომში იბრძოდნენ რესპუბლიკელების მხარეს ქართველებთან ერთად: ერთ-ერთი ოპერაციის დროს ისინი დაიჭირეს და სიკვდილმისჯილთა საკანში

მოათავსეს. როცა ამოიკითხეს ინიაკი მინტეგის გვარი, ამ დროს პატიმრებს პირი აუკრავთ მისთვის და ხელფეხშეკრული კუთხეში გადაუშალავთ. როგორც გაირკვა, უფროსმა მინტეგიმ მოილაპარაკა სხვა პატიმრებთან წინასწარ, რომ შვილის ნაცვლად ასაკოვანი მამა გასულიყო დასახვრეტად. ეს ამბავი ინიაკმა მიაგზო ბასკეთში, სოფელ ბაკიოში. ამ ტრაგედიის შემდეგ<sup>5</sup> ინიაკს მეტყველება მოეშალა და ძლივს გამაგებინა, რისი თქმა უნდოდა. ასე გადაარჩინა მოხუცმა მამამ თავისი ახალგაზრდა ვაჟი – იანიკი. ეს ფაქტი დეტალურად აქვს აღწერილი მარტინა მინტეგი-ბილბაოს თავის წიგნში „ჩემი ბასკეთი“ (მინტეგი-ბილბაო 1978).

და ბოლოს, გვინდა მივმართოთ ჩვენს ყველა მკითხველს: თუკი რაიმე ცნობები გაქვთ ესპანეთში მონაწილე ქართველების შესახებ, გთხოვთ მოგვაწოდოთ.\*

#### გამოყენებული ლიტერატურა

**მინტეგი-ბილბაო 1978:** მარტინა მინტეგი-ბილბაო, ჩემი ბასკეთი. თბილისი, 1972.

**ტაბალუა 1932:** ტაბალუა ი., დანიელ წოწოლაშვილი ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. 1938, 25.09.

**ძიძიგური 1982:** ძიძიგური შ., ბასკები და ქართველები. თბილისი, 1982.

**Испания 1980:** Испания 40 лет без войны, Москва, 1980.

**Мы интернационалисты 1986:** Мы интернационалисты, Москва, 1986.

<sup>5</sup> ახლახანს მომწოდეს ინფორმაცია კიდევ ერთ ინტერნაციონალისტ მებრძოლზე – ივანე რუხამეზე. ვიცი მხოლოდ ის, რომ იგი ყველაზე ახალგაზრდა მოხვდა ესპანეთში ინტერბრიგადაში...

\* ეს სტატია მომზადდა ჩემ მიერ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, ევროპის ქვეყნების განყოფილებაში მუშაობის პერიოდში, სადაც კონსულტაციებს მიწევდნენ პროფ. ილია ტაბალუა, პროფ. ფრიდონ სიხარულიძე, პროფ. შამშე მეგრელიძე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ კოლეგებს!